ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 მაისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 95 (10 264) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიახ, ძალა მართლა ხნავს აღმართს...

საქართველოს სპორტული ორგანიზაციების პოზიცია კარგა ხანია ცენტრს თვალში არ მოსდის და წყნარად, „დიპლომატიურად" მიმართავს სხვადასხვა ფანდებს, მაგრამ ისე, რომ დაწოლა და ძალმომრეობა ან არ ჩანდეს, ან გარეგნულად ყველაფერი ობიექტურად გამოიყურებოდეს. ცენტრის მხრიდან ყოველგვარ ხრიკებს ერთი ქვეტექსტი გასდევს: ძალა ჩვენს ხელშია, საერთაშორისო ორგანიზაციები ისე მოიქცევიან, როგორც ჩვენ გვსურს და თქვენ ზედმეტად თავს ნურაფრით შეიწუხებთ, იცოდეთ, ეს თქვენ არაფერს გარგებთ, მეტიც, უარესიაო.

ყველა, ყველა, მაგრამ ჩვენს მოჭადრაკე ქალებსაც თუ ვინმე დაჩაგრავდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ისინი დღეს რეიტინგით იმსახურებენ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობას და, როცა არაობიექტურობა იქამდე მიდის, რომ მათ ნაცვლად ნაკლებად ცნობილ და, რაც მთავარია, უფრო დაბალი რეიტინგის მოჭადრაკეს უთმობენ ადგილს, ეს უკვე მეტისმეტია.

კონკრეტულ ფაქტზე გვაქვს საუბარი. ახლახან ბელგრადში მოეწყო ჩვენი მოჭადრაკე ქალების მატჩი იუგოსლავიის კლუბ „გოშას" ვაუთა ნაკრებთან. საქართველოდან მატჩში მონაწილეობდნენ მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ჭ. არაბამია, ნ. გურიელი, ქ. კახიანი და თ. ხუგაშვილი. ჩვენებმა იქ გაიგეს, რომ ნ. გურიელს ადგილი წაართვეს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ზონათშორისო ტურნირში. საქართველოს დელეგაციამ ამის თაობაზე უმალვე პროტესტის დეპეშა გაუგზავნა ფიდე-ს და პირადად კამპომანესს, მაგრამ ფიდე-მ და მისმა პრეზიდენტმა ქართველების სამართლიან მოთხოვნას წაუყრუა.

როგორ შეხვდა ამ ამბავს ცენტრი, რომელმაც თავად გაუხსნა გზა ძალადობასა და უკანონობას? საკავშირო ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორატმა საქართველოს სპორტსახკომს აცნობა, რომ შეცდომა გამოსწორდა და მალაიზიაში გურიელი გაემგზავრებოდა ზონათშორისო ტურნირზე. გავიდა ცოტა დრო და მივიღეთ კიდევ ახალი ცნობა: საკავშირო ფედერაციამ ნინო მეორე ზონაში, ქალაქ აზოვში „გადაისროლა". მოემზადა გურიელი აზოვში გასამგზავრებლად, მაგრამ ამახობაში თურმე საკავშირო ფედერაციის მთავარი კონსულტანტი ნ. კროგიუსი, როგორც ეს საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილების გამგემ ბ. გურგენიძემ გვითხრა, გადაფრინდა ფიდე-ს აღმასკომის სხდომაზე და იქ მიაღებინა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქართველი მოჭადრაკე საერთოდ არ გამოვა ტურნირში და მის ნაცვლად ითამაშებს გალიამოვა. მიზეზი? გალიამოვა ტურნირის „დიახახლისია" და იმიტომ (?!). რა რეიტინგი, რის რეიტინგი, ასე სურს ცენტრს, მორჩა და გათავდა.

გვინდა ვიკითხოთ, რა, რუსეთი ცალკე რესპუბლიკაა, ხოლო, თუ საბჭოთა კავშირზეა ლაპარაკი, რა შუაშია „დიახახლისი" და ტურნირის მახპინძელი? რატომ არის, ვთქვათ, „მახპინძელი" გალიამოვა და არა გურიელი, თუკი ბოლოსდაბოლოს საქმე ამაზე მიდგება?

ერთი სიტყვით, ძალა აღმართს ხნავს.

გთავაზობთ საპროტესტო წერილის ასლს, რომელიც საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის ნ. ენდელაძის და ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის პ. ჩხეიძის ხელმოწერით გუშინ ტელექსით გაეგზავნა ფიდე-ს, საკავშირო სპორტსახკომს, ჭადრაკის საკავშირო ფედერაციას, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციას და საკავშირო ოლიმპიურ კომიტეტს.

ბალტიისპირეთა ასოციაცია

ეს ახალი ორგანიზაცია, რომლის შექმნას ხელი მოაწერეს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სპორტული მედიცინის ფედერაციების თავმჯდომარეებმა, ამ დღეებში შეიქმნა. მისი სრული დასახელებაა სპორტული მედიცინის ბალტიის ასოციაცია. ასოციაციამ თავმჯდომარედ აირჩია ტ. კარუ — ტარტუს უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ ზ. კასვანდე, რომელიც ლატვიის სამედიცინო აკადემიაში სამკურნალო ფიზკულტურისა და სამედიცინო კონტროლის კურსის ხელმძღვანელად მუშაობს და ე. შვედი — ლიტვის სპორტული მედიცინის ცენტრის მთავარი ექიმი.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში უკვე რამდენიმე გოლეადორი ჰყავს. ბომბარდირთა შორის დაწინაურდა თბილისელი „იბერიის" წევრი და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის კანდიდატი გია გურული. ხურათზე სწორედ გ. გურულს ზედავთ შეტევისას.. (იხ. მე-3 გვ.).

გია ახალაძის ფოტო.

კეტგურთმა ჩვენში უმალვე მოიპოვა პოპულარობა და ქართულმა გუნდებმა სულ მალე გაითქვეს სახელი. ამ დღეებში ვანში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოს წინა ტური იმ 8 გუნდის მონაწილეობით, რომელთა შორის VII-XIV ადგილები უნდა განაწილდეს.

სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის „მერანისა" და ხაბაროვსკის „ვოსხოდის" შეხვედრის მომენტს.

გია ახალაძის ფოტო.
„ლელოს" ხაკ. კორ.

ტრადიციული „მოგზაურობა"

ჯარში გაწვეული სპორტსმენები, ცხადია, უკვე არმიის სპორტკლუბის სახელით ასპარეზობენ და ასეთი შევსება გაცილებით აძლიერებს არმიულ გუნდებს. ამიერკავკასიაში ეს განსაკუთრებით ჰოდაობის სახეობებზე ითქმის. აი, კიდევ ერთი მაგალითი: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა თავისუფალ ჭიდაობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც როსტოვში გაიმართა. მან 43 ქულა დააგროვა და 12 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კიევის სამხედრო ოლქის ნაკრებს.

გამარჯვებული გუნდის მნიშვნელოვან ნაწილს, ტრადიციულად, საქართველოს მოჭიდავეები შეადგენდნენ. მათგან **გელა პაპაშვილმა** უძლიერესის სახელი მოიპოვა 48 კგ წონით კატეგორიაში, **კობა გულიაშვილი** (62) და **უშანგი კაბულოვი** (100) მეორე ადგილებზე გავიდნენ, **ზაურ ივანიშვილი** (100) — მესამეზე.

გაზეთ „ლელოს" რედაქციას!

თბილისის კრწანისის რაიონის საფინანსო განყოფილების მუშაკები გულდასმით გაეცნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მიმართვას ორგანიზაციებისა და ფეხბურთის ყოველი გულშემატკივრისადმი და ერთსულოვნად უჭერენ მხარს მასში ჩამოყალიბებულ წინადადებებს. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილი გვაქვს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ ღონისძიების განხორციელებაში.

ბ. კობერიძე.



გუშინ გაუწყეთ იმის თაობაზე, რომ აკრობატიკტთა საკავშირო ჩემპიონატში ხაქართველოს შეიდმა წარმომადგენელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ვორონეჟში. გუშინვე შემოგთავაზეთ საქართველოს გოგონათა ხამეულის პორტრეტები. დღეს ვაჟებს წარმოგიდგენთ. აი ისინიც, გამარჯვებული კვარტეტი — ემზარ ანუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაკიშვილი, ნიკოლოზ ბჟიდლიძე.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

ხარვეზებზე — საჯაროდ! ფიზიკური აღზრდა და სპორტი — ერის სამსახურში!

გვეზრდებიან თუ გვისუქდებიან?

ეროვნული ბიბლიოთეკ

დღეს გურჯაანის რაიონის პროგლემებს ვეხებით, მაგრამ ასეთი ნაკლოვანებები მხოლოდ ამ რაიონისთვის როდია ნიშანდობლივი

წელიწადიც არ არის, რაც საქართველოში მძლავრი მოძრაობა დაიწყო ქართული სპორტის სუვერენიტეტის მისაღწევად. ეს მოძრაობა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების და ერის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირმშოა. სპორტული სუვერენიტეტისაკენ გადადგმული პირველი და ძალზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა. დღეს უკვე გვაქვს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია, საკუთარი, ეროვნული ჩემპიონატი; ჩვენი რაგბის საერთაშორისო აღიარებამდე დიდი დრო არ დარჩა. საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდა საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია. სკეტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამდენს თუ მივაღწევდით, არ მეგონა.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ეროვნულ მოძრაობას საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა მხარი სწორედ სპორტულმა საზოგადოებრიობამ აუბა და მალე შეიქმნა კიდეც პირველი დამოუკიდებელი ორგანიზაციები. ქართველი ერის პოტენციალი ყოველთვის შესანიშნავად აისახებოდა სპორტში. ერის განსაკუთრებულ ფიზიკურ აქტივობას კი საქართველოს ისტორიული ბედი განაპირობებს.

ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო, ხოლო, როცა იმედს რეალური საფუძველიც გააჩნია, იგი შეუძლებელსაც შეძლებს. ჩვენი ქვეყანა იბრძვის ეკონომიკურ-პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის, რომლისკენ მიმავალ გზაზე უდიდესი სიძნელეების დაძლევა მოგვიხდება; უამრავი პრობლემის გადაჭრა მოგვიწევს დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგაც, რასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ყოველივე ეს კი ხელეწიფება მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღ ერს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ პირველი რიგის პრობლემებს შორის ერის ჯანმრთელობის, მისი შვილების ჰარმონიული განვითარების საკითხიც უნდა იდგეს.

ამ პოზიციიდან შევაფასებ გურჯაანის რაიონში არსებულ მდგომარეობას. შეგნებულად ავუვლი გვერდს დიდი სპორტის რეზერვთან მუშაობას და მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ მასობრივ სპორტს, ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ მუშაობას. ამ მიმართულებით არა თუ წინსვლა არ ჩანს, პოზიციების დათმობასთან გვაქვს საქმე. ბოლო ათწლეულში აშკარად დაეცა სარაიონო შეჯიბრებების დონე მთელ რიგ სახეობებში. იკლო მასობრიობამ — ანეგდოტურად მცირეა მოსაპარეზეთა რაოდენობა, რაც ფორმალურ ხასიათს ანიჭებს შეჯიბრებებს. საკმაოდ ხშირია დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების ჩაშლის შემთხვევები. არაერთი ახლო წარსულში აქტიური, საკმაოდ ღონიერი ფიზკულტურული კოლექტივი დღეს საღათას ძილს მისცემია. მოსწავლეთა შეჯიბრებები უწინ გაცილებით შინაარსიანი, ხშირი და ხალხმრავალი იყო, ვიდრე ახლაა. რაიონის დიდი საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იმის მაგივრად, რომ ადგილზე შექმნან ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივები, მხოლოდ საკუთარ რეკლამაზე ფიქრობენ და სეზონურად ქირაობენ სპორტსმენებს (რამდენიმე თვით აფორმებენ სამუშაოზე). საკუთარ სპორტულ ბაზებზე ლაპარაკიც ზედმეტია. სკოლებში სექციური მუშაობა ფიქციაა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მხრივ სკოლების უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია.

შედეგი: ფიზიკურად სუსტად განვითარებული, წონამომატებული, ინერტული მოზარდი-ახალგაზრდობა, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი მისდევს აზარტულ თამაშებს, ლოტობას, ნარკომანიას. ჩვენში თითქოს ხელმეორედ აღმოჩინეს „კარტი“ — სასაცილოც კი იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს: სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებით დაწყებული და შვილიშვილის პატრონი „ახალგაზრდა პაპებით“ დამთავრებული, ხშირად ჩაუჯდებიან ხოლმე „ჯოკერს“, თანაც უბრალოდ კი არა, — პურ-მარილზე. წაგებულები გაშლიან სუფრას და იწყება ქეიფი. გაუთავებელი თამაშები და გაუთავებელი ქეიფები (მოგეხსენებათ, ბახქოს თამაშის გარეშეც არ დაილევა მეზეზები). უფროსების წაბაძვით ხშირად მეშვიდე-მერვეკლასელი ყმაწვილებიც კარგად „ერკვევიან“ სასმელებში, სკოლადამთავრებულები კი ჩამოყალიბებული მესუფრეები არიან. ეს, სამწუხაროდ, მარტო ჩვენს რაიონს როდი ეხება — ჭირი თავს არ მალავს, ლოთობა, ეს სამარცხვინო სენი, უკვე გვარიანად რომ გაგვიჯდა ქართველებს, ფაქტია. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, ჩვენებური ქეიფი და სხვების ლოთობა სხვადასხვა რამ არისო, ამით საქმეს ვერ ეშველება. საქართველოში წინათ, უკეთეს დროში, ახალგაზრდა კაცს უბრალოდ ნასვამობა რომ დასტყობოდა და ფეხი არეოდა, დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ახლა კი ახალშეღერებულ ჭაბუკს ისეთ მდგომარეობაში ნახავ, ტანში დაგბურძგლავს. თავზე ღიმწამოდებულ ახალგაზრდებს სახთლით ძენნა აღარ სჭირდება. ლათინური ანდაზაა: ლოთები ლოთებს შობენო — ლოთების აშენებული ქვეყანა კი მე ჯერ არ მინახავს. ყველა „სიკეთესთან“ ერთად ნარკომანიამაც შემოაღწია პერიფერიებში. ხუთი-ათი წლის წინათ სოფელში თითებზე დათვლებოდა კაცი, ამ სატყვის მნიშვნელობა ზუსტად რომ იცოდა, ახლა კი... ღვთით კურთხეული კახეთის მიწა ანაშამაც კარგად იგუა და ბიჭებს „საკუთარი მოსავალიც“ მოჰყავთ. კიდევ კარგი, ძლიერი ნარკოტიკული საშუალებები დეფიციტია და ზღაპრული ფასები აღევს, თორემ ცუდად წაგვივიდოდა საქმე.

გულუბრყვილობა იქნებოდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უბედურება მხოლოდ იმით აგვეხსნა, ფიზკულტურა და სპორტი მოწოდების სიმაღლეზე რომ არ დგას ჩვენში, მაგრამ ლომის წილი, ჩემი აზრით, სწორედ ამ ხარვეზზე მოდის. თუ ვინმეს ჰგონია, ფერებს ვამუქებ, ძალიან ცდება.

რამ განაპირობა ასეთი მდგომარეობა თუნდაც აქ, გურჯაანის რაიონში?

წლების განმავლობაში ფიზკულტურა და სპორტი გერის როლში იმყოფებოდა. კი, ბატონო: იღებდნენ დადგენილებებს, ავალებდნენ მის შესრულებას, ამოწმებდნენ, აკრიტიკებდნენ, ზოგს ხსნიდნენ, ზოგს საყვედურს უცხადებდნენ, ახალს ნიშნავდნენ, მაგრამ ყოველივე ეს მოჩვენებითი, ფუჭი საქმიანობა და ფუსფუსი იყო (ჯერჯერობით დღესაც ასეა). იშვიათად, რომ ვინმე გულით მოჰკიდებოდა საქმეს, სპორტის მესვეურებად ხშირად ნიშნავდნენ უვიც, უპრინციპო და უპასუხისმგებლო მუშაკებს. ახლაც გვყავანან ისეთი ფუნქციონერები სპორტში, რომლებმაც ისიც არ იციან, რომ ჩემი, როგორც „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტის, უშუალო ხელმძღვანელი გაზეთ „ლელოს“ რედაქტორია და არა რაიონულ გაზეთ „გურჯაანის“ რედაქტორი, უფროსი კოლეგა ბატონი ბაქრო გაბრუაშვილი. კომენტარი, ალბათ ზედმეტია.

ნათქვამია, როგორიც ტყე იყო, ნადირიც ისეთი გამოდიოდაო — რადგან „ზემოთ“ სპორტისადმი ზერელე დამოკიდებულება აშკარა იყო, არც ადგილებზე იწუხებდნენ თავს. თითო-ოროლა თავკაცი თუ გამოეჩეოდა, საქმეს რომ გამოაცოცხლებდა, აამოძრავებდა ხალხს, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ ყველაფერი ძველ კალაპოტში დგებოდა (სიკეთე არავის უნდა დავუკარგოთ — ზოგმა შეძლო საშვილიშვილო საქმის გაკეთება — კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები დაუტოვა სოფელს, რაიონს).

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სოფლებში თუ წარმოება-დაწესებულებებში სპორტის ინსტრუქტორებად იყვნენ და ახლაც მრავლად არიან მეტად საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები, აღარას ვამბობ მათ „პროფესიონალიზმზე“. მათი „მოღვაწეობა“ არასასურველ კვალს ტოვებს მოზარდებში, ჭქმნის არაჯანსაღ ატმოსფეროს რაიონის სპორტულ ცხოვრებაში. არადა, არაერთი შემთხვევა მახსენდება, საქმის ერთგულ, მცოდნე ადამიანებს, უდიერი მოპყრობით სამუდამოდ რომ ამოუკვეთეს ფეხი.

ზემოთაც აღვნიშნე, სკოლებში სექციური მუშაობა ფიქციაა მეთქი. წლიდან წლამდე დაუმსახურებელ გასამრჯელოს ისე იჯიბავენ, სინდისის ქენჯნასაც აღარ გრძნობენ. ამას დაუმატეთ ფიზიზღრდის პედაგოგთა საკმაოდ დიდი ნაწილის პროფესიული უმწიფარობა.

მინდა რამდენიმე კონკრეტული ფაქტი მოვიყვანო, მითუმეტეს, აქამდე კონკრეტულად არავის და არაფერს შევხებივარ.

სოფელ კარდენახში ფეხბურთის სტადიონი ტრაქტორების სარემონტო პოლიგონს ჰგავდა — მექანიკოსს შუა მინდორზე გაეჩერებინა ტრაქტორი და მოტორს უკირკიტებდა. ირგვლივ სხვადასხვა ნაწილები იყო მიმოფანტული, მოედანი კი გადათხრილი. ფიზორგებს წარამარა ცვლიან, მაგრამ სარაიონო შეჯიბრებებზე კარდენახელები იშვიათი სტუმრები არიან და მაშინაც უფერულად გამოიყურებიან. სოფლის სკოლს არც დარბაზი აქვს და არც მარტივი ტიპის მოედნებია წესრიგში.

ბაკურციხელები ადრე თითქმის არცერთ რაიონულ შეჯიბრებას არ აკლდებოდნენ, კარგადაც იყვნენ მოამზადებული და არა მარტო სარაიონო, რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც აღწევდნენ წარმატებებს, ახლა კი — „ვაჰ, დრონი, დრონი...“ სოფლის ცენტრში საბილიარდო ნაგვით, სიგარეტის ნამწვებით იყო მოფენილი. ფიზორგი, ეტყობა, სხვა საქმეებითაა დაკავებული და ბიჭები ოთახში ხშირად ფანჯრიდან გადადიან.

ერთი კურიოზული ფაქტი: ბაკურციხის საშუალო სკოლის სპორტდარბაზის კარს ზემოთ გაკრულ შესანიშნავ ქართველ სპორტსმენთა — ვახტანგ ბალავაძის, ნანა იოსელიანის და სხვათა სურათებს მხარს უმშვენებდა სტალინის სურათი. რა შუაშია სტალინი ასეთ კონტექსტში? რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება საკუთარი შეხედულება ჰქონდეს ამა თუ იმ მოვლენასა თუ პიროვნებაზე, მაგრამ საკუთარი საეჭვო სიმპათია სხვას, მითუმეტეს ასობით მოზარდს მოახვიო თავს, ეს დაუშვებელია.

გურჯაანის სახალხო განათლების განყოფილების სპორტსკოლამ გაზეთ „გურჯაანის“ (იმ დროისთვის გაზეთს ერქვა „ლენინის გზით“) მიმდინარე წლის 15 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა მოსწავლეთა ერთ-ერთი შეჯიბრების ანგარიში, რომლის მიხედვით პირველ ორ ზონაში იასპარეზა 12 გუნდმა. სინამდვილეში კი 12 დასახელებული გუნდიდან 7 (!) არ გამოცხადებულა შეჯიბრებაზე. რა იმალება ამ აშკარა სიცრუის მიღმა? საქმე ის არის, რომ სახალხო განათლების რაიგანყოფილების ამ სპორტსკოლას ჯერჯერობით საუკეთესო სპორტული ბაზა აქვს რაიონში, მაგრამ მიუზეგავად ამისა, მრავალ მიზეზთა გამო ის ვერ ასრულებს თავის მისიას — ვერ კომპლექტდება საკმაო რაოდენობის სპორტული და გამაჯანსაღებელი ჯგუფები, დაბალია საწვრთნელი მუშაობის ხარისხი, ბაზა არასაკმარისადაა დატვირთული, სათანადოდ ვერ ეწევიან ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას. სკოლის დირექციამ, რადგან სიძნელეებს თავი ვერ გაართვა, სიცრუეს მიმართა და საქმეში ჩაუხედავთა თვალის ასახვევად ვითომცდა კარგად ჩატარებული შეჯიბრებით იწონებს თავს. სოფელი ველისციხე მოსახლეობის რაოდენობით თვით რაიონულ ცენტრს, ქალაქ გურჯაანსაც აჭარბებს. ველისციხელებს საკმაოდ კარგი სპორტული ტრადიციები აქვთ, მაგრამ დღეს სოფელში ფიზკულტურა და სპორტი ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე, ალბათ ამიტომ შეიქმნა აქ რამდენიმე წლის წინ კულტურულ-სპორტული კომპლექსი (კსკ). ხელთა მაქვს საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის 1989 წლის 14 დეკემბრის ბიუროს დადგენილება. დაწვრილებით არ შევეხები და ზოგადად მოგახსენებთ მის „შინაარსს: მას შემდეგ, რაც უარყოფითადაა შეფასებული კსკ-ის თითქმის მთელი საქმიანობა, ბიურო ადგენს: „რჩევა მიეცეს სოფელ კაჭრეთის, არაშენდის, ბაკურციხის, ახაშნის, მუკუზნის, ვაზისუბნის ტერიტორიულ პარტიულ კომიტეტებს, გაეცნონ სოფელ ველისციხის კულტურულ-სპორტული კომპლექსის მუშაობის გამოცდილებას და მათი მაგალითისამებრ ადგილებზე, სასოფლო საბჭოს აღმასკომებთან ერთად, შეიმუშაონ და მომავალი წლიდან პრაქტიკულად განახორციელონ ღონისძიებები სასოფლო კულტურული სპორტული კომპლექსის შექმნის თაობაზე“.

რა გამოდის?! აღნიშნულმა სოფლებმა უნდა გაიზიარონ ველისციხის კსკ-ის გამოცდილება... თუ როგორ უნდა იმუშაონ ცუდად! მაპატიეთ, მაგრამ ცუდად მუშაობის გამოცდილება ისედაც საკმარისი გვაქვს.

ჩემი აზრით, დამაფიქრებელია შემდეგი გარემოებაც: გურჯაანის სპორტის დღევანდელი მესვეურები, როგორც, ასე ვთქვათ, „აქტიური სპორტსმენები“, ადრე, წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ რაიონის სპორტულ ცხოვრებაში და კარგად უწყოდნენ მისი მდგომარეობის, არსებული პრობლემების შესახებ. მაგრამ იმას, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ, რაც მათ საქმის სადავეები აიღეს ხელში, რაიმე მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მომხდარიყოს ჩვენში. მესმის, რომ მათი უფლებები დღესაც შეზღუდულია, მაგრამ თუ საკუთარი პრინციპულობის იმედი არ ჰქონდათ, რაღად იკისრეს პასუხისმგებლობა?

ამ წერილის ტონი, იქნებ, ცოტა მკვეთრიცაა, მაგრამ, როცა ქვეყანას ასე უჭირს, რევერანსების დრო აღარ არის. დროა, ყველამ კეთილსინდისიერად მოჰკიდოს საქმეს ხელი.

ალექსანდრე პაპოშვილი.

ქალი, პირველი მსოფლიოში...:



თბილისის აუზის კიდეზე წყალბურთის მსაჯის ფორმაში—თეთრ შარვალსა და თეთრ ჭურთუკში გამოწყობილი — ქალი გამოჩნდა! გადავხედეთ ჩვენი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მთელი თორმეტი წლის ოქმებს — ქალი მსაჯი თბილისში არასდროს ყოფილა!

● შეიძლება გაგიცნოთ? — ვკითხეთ სიმპათიურ ქერათმიან ქალს, რომელსაც ხელში მსაჯის ლურჯი ალამი ეჭირა.

— მე ელმ ვან დე ლაკი მქვია და ჰოლანდიიდან გახლავართ. ვარ 38 წლის!

● აქედან წყალბურთს რამდენი წელი მიუძღვენით?

— ვარჯიში თერთმეტი წლისამ დავიწყე. მეკარე ვიყავი.

● რაიმე სპორტული წოდება, ტიტული თუ გქონიათ?

— არა, ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენებს არავითარი განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები არა აქვთ. ყველაზე დიდი წოდება ჩემპიონობაა. მაგრამ მე ჩემპიონი არა ვყოფილვარ.

● მსაჯი როგორღა გახდით?

— ო, ჰოლანდიაში ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუ გახსოვთ, შარშან ტურნირზე წყალბურთის ევროპული კომიტეტის წარმომადგენელი ჩემი თანამემამულე ქალი ტეა დე ვიტი გახლდათ. მაგრამ ქალთა შორის საერთაშორისო მსაჯის კატეგორია ჰოლანდიაში მარტო მე მაქვს. თვრამეტი წლიდან ვმსაჯობდი შეჯიბრებებზე, დაწყებული ქვეყანაში ყველაზე დაბალი რანგის პირველობებიდან, მაგრამ, მოგეხსენებათ, წლიდან წლამდე ოსტატობა იზრდება. ათი წლის წინათ მე, მსოფლიოში პირველ ქალს, მომანიჭეს საერთაშორისო კატეგორია, დასაწყისისთვის „ც“ კლასისა. ახლა უკვე „ბ“ კლასი მაქვს და იმედია, არც უმაღლესი „ა“ კატეგორიაა ცხრა მთას იქით.

● თქვენ ძველებურადვე მარტო ფეხბურთ ხამსაჯო ბორტზე?

— ქალები ვყავთ მხედველობაში? ახლა უკვე სამნი ვართ — ორი ქალი ევროპაში და ერთიც ამერიკის კონტინენტზე.

● როგორ ფიქრობთ, არის მსაჯობა ქალის საქმე?

— მსაჯობის დროს მე არ ვფიქრობ იმაზე, რომ ქალი ვარ. უბრალოდ, მსაჯი ვარ და მორჩა. და ძალიან არ მინდა, რომ მოთამაშეებს ახსოვდეთ ეს, სხვაგვარად დამატებითი პრობლემები წამოიჭრება. ქალად მხოლოდ თამაშის შემდეგ გადავიქცევი ხოლმე.

● როცა თამაშობდით, მსაჯებთან თუ გქონიათ პრობლემები?

— რა თქმა უნდა, განა შეიძლება წარმოიდგინო მეკარე, რომელიც თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ წასჩხუბებია მსაჯს? სამსაჯო კარიერის დასაწყისში უფრო მიჭირდა, ვიდრე ახლა, მე ხომ მაშინ ქალთა მატჩებს ვმსაჯობდი. მამაკაცთა გუნდებთან სხვა სიძნელეები გამომჩნდა — ისინი, უბრალოდ, არ მენდობოდნენ...

● მსაჯობა თქვენი ჰობია თუ საშუშაო?

— როგორც ვნებავთ! ჰობია იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ეს საქმე, სამუშაო კი იმიტომ, რომ სხვა არაფრისთვის დრო აღარ მრჩება. სხვათა შორის, ჩემი ქმარიც წყალბურთის მსაჯია, მასაც საერთაშორისო კატეგორია აქვს.

● თქვენი აზრით, რატომ კარგავს თბილისის ტურნირი პრესტიჟულობას?

მე არა მგონია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიისა და სხვა გუნდების უარი აქ ჩამოსვლაზე რამენაირად იყოს დაკავშირებული პოლიტიკურ შეხედულებებთან. ეს გუნდები თავიანთი პროგრამით ემზადებიან მომდევნო მსოფლიო პირველობისთვის და, ალბათ, თავიანთ გეგმებს საიდუმლოდ ინახავენ.

● წყალბურთელებმა გვიამბეს, რომ თქვენ ლა-მანში გქონიათ გადაცურული, მართალია?

— არა, მე მთელი სიცოცხლე მხოლოდ წყალბურთს მივდევ, სხვა არაფრისთვის დრო არ მქონია. ლეგენდებს კი, ალბათ, იმიტომ თხზავენ, რომ უნდათ არაჩვეულებრივ ქალად წარმომადგინონ. მართლაც და უჩვეულოა — ქალი-მსაჯი. მე კი ისეთივე ვარ, როგორც ყველა ქალი.

ბეჟი ბოჭორიშვილი, ანდრე კარბელაშვილი.

სტუდენტები ალუს მოსწავლეები

წარმატებით იასპარეზა მოსკოვის პროფკავშირების პრიზის გათამაშებაში „ჭოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა (1972-73 წლებში დაბადებულთა შორის), რომელსაც დაამატნენ განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზირებული სკოლის აღსაზრდელები. მათ უკან ჩამოიტოვეს კიევის, ვოლგოგრადის, ზაპოროჟიეს, მოსკოვის, იაროსლავლის და კუნცევოს გუნდები.

შეხვედრები წრიული სისტემით მიმდინარეობდა. ჩვენმა ხელბურთელებმა (მწვრთნელი რევაზ ჭანტურია) ყველა მეტოქე დაამარცხეს— გადამწყვეტ შეხვედრაში 23:21 სძლიეს ზაპოროჟიელებს და პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

24 მაისს, 18 საათზე, თბილისს სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტსკოლაში ჩატარდება პრეს-კონფერენცია თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით ფინალური ასპარეზობის დაწყებასთან დაკავშირებით.

მისამართი: დიღმის მასივი, III კვ. ა. ბელიაშვილის, 5.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი“ (ხოხუმი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0 (1:0)

ხოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 21 მაისი.

„ცხუმი“: ბენიძე, ჩიხრაძე (ფელენავა), ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ. ჯიშკარიანი (გადელია), პაპავა, გოგრიჭიანი, გაბესკირია (სიჭინავა), კურგენიანი.

„ივერია“: მურადაშვილი, ჯანგერიძე, პ. ნოზაძე, კ. ამბიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, აბაზაძე, პოზოიანი, ბ. თევზაძე, გ. მაღრაძე, რ. ნოზაძე.

მსაჯები: ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ო. გუნთაძე (თბილისი).

გაფრთხილება ზ. მურადაშვილი.

შეხვედრა „ცხუმის“ აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. ყველაზე აქტიურნი ამ შეხვედრაში მალანია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი და გოგრიჭიანი იყვნენ. დიდი უპირატესობის მიუხედავად, ხოხუმელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ სამჯერ შეძლეს ხაშურელთა კარის აღება. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა გოგრიჭიანმა, 63-ე წუთზე მალანიამ (იგი საუკეთესო იყო ამ დღეს მოედანზე) ორამდე გაზარდა ანგარიში — 2:0. მე-80 წუთზე გოგრიჭიანს უხეშად ეთამაშნენ „ივერიის“ მცველები, მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა მალანიამ— 3:0. უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრებსაც ჰქონდათ ბურთის გატანის ორი კარგი შესაძლებლობა, მაგრამ საიმედოდ ითამაშა „ცხუმის“ მეკარე ბენიძემ.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ კორ.

„ლიანდვი (ცხინვალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:6 (0:3).

თბილისი. ვაკის სტადიონი. 21 მაისი.

„ლიანდვი“: თ. ხანაკოევი, ზვიადგინცევი, კანხნაშვილი, გობოზოვი, ვ. ჯიოევი, გასიევი, დოგუზოვი, მარგიევი, ვ. ხუბეჯიშვილი, გ. ხუბეჯიშვილი (მ. ხანაკოევი), ქოქოევი (მიხაილოვი).

„ამირანი“: მეხეია, ბ. ჩხვირკია (მ. კაკუბავა), ძალამიძე, შელია, ახვლედიანი, ღურწკაია (აფინდოპულო), შამუგია, დ. კაკუბავა (შამათავა), ქობალია, ჭითანავა, გუჩუა.

მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე —რუსთავი), თ. კურტანიძე (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი გააძევეს ვ. ჯიოევი, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მისი თანაგუნდელი ა. დოგუზოვიც.

მატჩის დასაწყისში ინიციატივას ოჩამჩირელები დაეუფლნენ და მე-15 წუთისთვის დაწინაურდნენ კიდეც — 2:0. ქობალიას ორჯერ მიეცა კარის აღების შესაძლებლობა და ორივე კარგად გამოიყენა. ამის შემდეგ ცხინვალელები შეტევაზე გადავიდნენ და გ. ხუბეჯიშვილმა ორჯერ მოახვედრა ბურთი ძელს. ანგარიშის შემცირების საშუალება ჰქონდათ გობოზოვს და კანხნაშვილს. ამასობაში „ამირანმა“ კონტრშეტევა წამოიწყო და ჭითანავას ზუსტი გადაცემის შემდეგ ქობალიამ სამამდე გაზარდა ანგარიში. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევრის დასაწყისისთვის ქობალიამ ულამაზესი დარტყმით ბადეში გაგზავნა ბურთი — 4:0. ორიოდე წუთში მინდორზე ახლად შემოსულმა აფინდოპულომ გაგზარდა ანგარიში. მხოლოდ მეხუთე გაშვებული გოლის შემდეგ შეძლეს მეტოქის კარის აღება ცხინვალელმა ფეხბურთელებმა, როდესაც მ. სანაკოევის გადაცემას სათანადო გაგრძელება მოუძებნა ვ. მიხაილოვმა — 5:1.

დაბოლოს, აფინდოპულომ დაუსვა წერტილი მატჩს — 6:1 — გაამარჯვა „ამირანმა“. მაგრამ არავინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა თამაში, პირველ ნახევარში ორი ცხინვალელი ფეხბურთელი რომ არ გაეძევებინათ მინდვრიდან. ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ მატჩის ინსპექტორს ბადრი ქარქაშაძეს: „მსაჯებს ჰქონდათ შეცდომები. შეიძლებოდა გართულებების თავიდან აცილება, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი ფეხბურთელი მაინც გააძევეს, თუმცა; თავის მხრივ, არც ფეხბურთელს აქვს უფლება სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენოს მსაჯს“.

ლევან ჯავახიშვილი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში ჩატარებულია 97 შეხვედრა, აქედან მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 54, სტუმრებმა წარმატებას მიაღწიეს 22-ჯერ, 21 შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

● სულ გატანილია 254 ბურთი, 173 გოლი გაგატანეს მასპინძლებმა, 81 — სტუმრებმა.

● ჰეთ-თრიკი ჩემპიონატში აღინიშნა 5 მატჩში. 4-4 ბურთი გაიტანეს ო. კორღალიძემ („გურია“), გ. კილასონიამ („გორდა“) და მ. ქობალიამ („ამირანი“), 3-3 — გ. გურულმა და კ. კაჭარავამ (ორივე — „იბერია“).

● ჩემპიონატში გაძევებულია 5 ფეხბურთელი. ესენია: მ. აფციაური („გორდა“), კ. კერესელიძე („სამგურალი“), ო. კორღალიძე („გურია“), ვ. ჯიოევი და ა. დოგუზოვი (ორივე — „ლიანდვი“).

● სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, დაისაჯნენ ფოთის „კოლხეთი-1913“-ის მოთამაშეები. მ. შამათავას — 3, ი. ჯუღელს — 2, ნ. თვარაძეს —1 თამაშით მიეცათ დისკვალიფიკაცია.

● ბომბარდირთა დავაში 10 ბურთით დაწინაურდა გ. გურული („იბერია“), ო. კორღალიძეს („გურია“) და მ. ფანცულაიას („გორდა“) 9-9 ბურთი აქვთ გატანილი.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი ● მდგომარეობა 28 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გორდა“ (რუსთავი)	11	9	1	1	26-[illegible]	[illegible]
„გურია“ (ლანჩხუთი)	11	8	0	3	22-[illegible]	24
„იბერია“ (თბილისი)	11	7	3	1	22-[illegible]	24
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	11	7	2	2	17-[illegible]	23
„ბათუმი“ (ბათუმი)	10	6	3	1	[illegible]-5	21
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	10	5	3	[illegible]	15-9	18
„სანავარდო“ (სამტრედია)	10	5	2	3	13-11	18
„ცხუმი“ (ხოხუმი)	11	4	[illegible]	3	1[illegible]-11	16
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	11	4	[illegible]	3	11-13	16
„კოლხეთი“ (ხობი)	10	4	[illegible]	4	14-10	15
„დილა“ (გორი)	11	[illegible]	[illegible]	5	17-15	14
„ივერია“ (ხაშური)	11	4	0	7	9-20	12
„სამგურალი“ (წყალტუბო)	11	[illegible]	[illegible]	6	11-16	8
„მზიური“ (ვანი)	11	[illegible]	3	6	8-20	9
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	11	2	2	7	9-17	8
„ოდიში“ (ზუგდიდი)	11	1	5	5	8-11	8
„შუქურა-1906“ (თბილისი)	11	2	1	8	9-29	7
„ლიანდვი“ (ცხინვალი)	11	0	0	11	7-42	0

I ჯგუფი

მდგომარეობა 22 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	11	9	0	2	24-11	27
„ალაზანი“ (გურჯაანი)	11	8	2	1	19-6	26
„სიხარული-90“ (გაგრა)	11	6	3	2	22-9	21
„ხიონი“ (ბოლნისი)	11	6	2	3	18-12	20
„სულორი“ (ვანი)	11	6	2	3	12-9	20
„იმერეთი“ (ხონი)	11	6	1	4	14-13	19
„არაგვი“ (დუშეთი)	11	5	3	3	14-10	18
„კახეთი“ (თელავი)	10	4	2	4	13-12	14
„არმაზი“ (მცხეთა)	10	4	2	4	13-16	14
ფიზკ. ინსტ.	11	4	2	5	9-14	14
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	11	4	2	5	11-18	14
„ხვური“ (წალენჯიხა)	10	4	1	5	17-16	13
„შუქურა“ (ქობულეთი)	11	3	4	4	14-15	13
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	10	4	0	6	13-10	12
სტუ	11	4	0	7	17-28	12
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	11	2	6	3	10-10	12
„ჩიხურა“ (საჩხერე)	11	3	0	8	11-24	9
„დურუჯი“ (ყვარელი)	11	2	3	6	6-12	9
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	11	2	3	6	12-22	9
„ხაპოვნელა“ (თერჯოლა)	11	2	2	7	11-17	8

ინგლისელი ბულშემატკივრები არ ცხრებიან

ცნობილი გახდა, რომ ინგლისის ქალაქ ლიდსში ყიდიან „ორიგინალურ“ საფეხბურთო მაისურებს. მათზე გამოსახულია ბრიტანული ბულდოგი, რომელიც ნაკუწნაკუწ ფლეთს იტალიის ეროვნულ დროშას, ქვეშ კი მოთავსებულია წარწერა: „ინგლისის შეპრა იტალიაში 1990 წელს“.

ეს მაისური ხელთ ჩაიგდეს იტალიელებმა და აქ ახლა გამოვიდა ოფიციალური კანონი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლებას ზძლევს შესაბამის აქციას მიმართონ მსოფლიო ჩემპიონატის დროს ამ მაისურების მფლობელთა მიმართ.

მატჩს პრეზიდენტიც დაესწრება

იტალიაში გამოცხადდა, რომ უკვე გაიყიდა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩის ყველა ბილეთი მილანის მეაცას სახელობის სტადიონზე, სადაც 8 ივნისს შეედგება არგენტინისა და კამერუნის გუნდების შეხვედრა.

იტყობინებიან, რომ ამ მატჩს დაესწრება არგენტინის პრეზიდენტი მენემი.

ფეხბურთში საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატი თქვენს გაზეთში კარგად შუქდება და ამისთვის მკითხველები მადლობელი ვართ. ჩემპიონატის მახალები „ლელოში“ იბეჭდება თვალმისაზიდი, გემოვნებით შესრულებული. ემბლემით. გვაინტერესებს ვინ არის მისი ავტორი? თუ შეიძლება გვიპასუხეთ.

ვ. კირთაძე,
თბილისი.

პასუხი. ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ემბლემა, რომლითაც თქვენ დაინტერესდით, საგანგებოდ „ლელოსთვის“ შეასრულა ცნობილმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ, რომლის ეს ნამუშევარი ერთ-ერთია იმ გრაფიკული ნამუშევრებიდან, რომლებიც რუბრიკად გასდევს „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს.

„მილანი“ თუ „ბენფიკა“

როგორც იქნა, ტელევიზიით ვეღირსეთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საფეხბურთო რეპორტაჟის ხილვის ბედნიერებას, როგორიცაა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი. დღეს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ერთმანეთს შეხვდებიან იტალიის ჩემპიონი „მილანი“ და პორტუგალიის ჩემპიონი „ბენფიკა“.

„მილანი“ და „ბენფიკა“, ევროპის საკლუბო გათამაშებათა ამ ყველაზე პრესტიჟული პრიზისთვის ბრძოლაში, პირველად არ ხვდებიან ერთმანეთს. 1963 წელს ისინი უკვე ებრძოდნენ ერთმანეთს ფინალში. საინტერესოა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება 35 წელია მიმდინარეობს და ეს მხოლოდ მეორე შემთხვევაა, როცა ადრინდელი ფინალისტები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა წლებში ერთმანეთს ფინალებში ორჯერ შეხვდნენ მხოლოდ მადრიდის „რეალი“ და საფრანგეთის „რეიმსი“, მაშინ ორივე მატჩი ესპანელებმა მოიგეს 1956 წელს — 4:3 და 1959 წელს — 2:0). „მილანისა“ და „ბენფიკას“ პირველი ფინალური მატჩი ჩემპიონთა თასზე 1963 წლის 22 მაისს შედგა ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, მაშინ გამარჯვება წილად ხვდა „მილანს“ — 2:1.

დღევანდელი შეხვედრა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იტალიის კლუბებმა წლეულს არნახულ წარმატებებს მიაღწიეს. მათ უკვე მოიპოვეს ევროპის თასების მფლობელთა თასი („სამპდორია“), უეფა-ს თასი („იუვენტუსი“) და ახლა ჩემპიონთა თასის მოგების რეალური შანსიც აქვთ, და თუ ეს ასე მოხდა, ეს იქნება ეს ბრწყინვალე მაჩვენებელი ევროპის საკლუბო გათამაშებათა ისტორიაში ერთი ქვეყნის სამივე კლუბის მხრივ.

პროგნოზისტთა მეტი ნაწილი გამარჯვებას „მილანს“ უწინასწარმეტყველებს, ვინაიდან ამ კლუბის შემადგენლობაში გამოდიან უმაღლესი კლასის ოსტატები, კერძოდ, ჰოლანდიელთა ტრიო — მარკო ვან ბასტენი, ფრანკ რაიკარდი და რუუდ გულიტი და, საერთოდ, „მილანი“, როგორც არასდროს, განწყობილია საბრძოლველად, რათა თავის ქვეყანას მესამე საპატიო პრიზი მოუპოვოს, მაგრამ, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ „ბენფიკა“ მეშვიდედ გამოდის ჩემპიონთა თასის ფინალში, მან 1961-1962 წლებში მოიგო საპატიო პრიზი, სულ ორიოდე წლის წინ, ჩემპიონთა თასის ფინალში, მხოლოდ დამატებითი 11-მეტრიანებით დაუთმო ჰოლანდიის „ეინდჰოვენს“ და, საერთოდ, ეს არის მეტად გამოცდილი, მებრძოლი და ძლიერი გუნდი. სხვათა შორის, „ბენფიკამ“ ახლანდელ გათამაშების მეოთხედფინალში დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ (1:0 და 3:0), საფიქრებელია, რომ კლუბი ძალებს არ დაიშურებს გამარჯვებისთვის.

ასეა თუ ისე, ჩვენი ფეხბურთის მოყვარულები დღეს ტელევიზიით, 23 საათსა და 10 წუთიდან თბილისის დროით ნახავენ 1989-1990 წლების ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს ვენის „პრატერის“ სტადიონიდან. ეს კი, უდავოდ, საინტერესო სანახაობა იქნება.

ბ. ჭელიძის ხსოვნის პრიზზე

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ბორის ჭელიძემ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ქართული ფეხბურთის მომავალი თაობის აღზრდის საქმეს მოანდომა. ცნობილმა მწვრთნელმა არაერთი კარგი ფეხბურთელი აღუზარდა რესპუბლიკას, რომელთა შორისაც დავასახელებო თბილისის „იბერიის“ ახლანდელ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დავით ყიფიანს, ვანო ჭელიძეს, დავით ჩახავას, ოთარ ნათაძეს, მსაჯებს მერაბ ჭელიძეს, ელგუჯა სილაგავას. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თემურ თვალჭრელიძესა და სხვებს. სწორედ მისმა აღზრდილებმა ჩაუყარეს საფუძველი გასულ წელს ამაგდარი პედაგოგის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირს. ახლახან თბილისის სტადიონებზე დასრულდა ჭაბუკთა რიგით მეორე შეჯიბრება ბ. ჭელიძის ხსოვნის პრიზზე, რომელშიც საქართველოს 10 საფეხბურთო კლუბი შონაწილეობდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მოასპარეზენი ორ ჯგუფად დაჰყვეს. პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები უფლებას იღებდნენ გაეგრძელებინათ ბრძოლა სატიტო პრიზისათვის.

„ა“ ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო და 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის 35-ე სპეციალიზებული სკოლის გუნდმა „გლდანმა.“ მეორე ადგილზე 6 ქულით გავიდა გორის „დილა“. „ბ“ ჯგუფში 7 ქულით პირველი ადგილი მოიპოვეს „მამული-78“-ის (თბილისის 35-ე ფეხბურთის სკოლა) ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზე გავიდა ბათუმის „ბათუმი“, რომელმაც 6 ქულა მოაგროვა. ნახევარფინალში „მამული-78“-ის ჭაბუკთა გუნდმა ანგარიშით — 4:2 დაამარცხა გორის „დილა“, ხოლო „გლდანის“ სპორტსმენებმა 3:0 სძლიეს „ბათუმს“.

არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე პირველად ერთმანეთს შეხვდნენ გორის „დილა“ და ბათუმის „ბათუმი“. მთელი მატჩი გორელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 1:0 დასრულდა. ეს ერთადერთი გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გიორგი ხიზანიშვილმა გაიტანა. გორელ ჭაბუკებს წილად ხვდათ მესამე საპრიზო ადგილი.

ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის კოლექტივები „გლდანი“ და „მამული-78“. ფეხბურთის სპეციალისტები გამარჯვებას „მამულს“ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ „გლდანელმა“ ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით, თავდაუზოგავად წარმართეს მატჩი და გაიმარჯვეს — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: გ. ხიზანიშვილმა, ა. იოსავამ და ვ. სოხაძემ. ამრიგად, ბორის ჭელიძის პრიზი თბილისის „გლდანის“ (მწვრთნელი გია მაისურაძე) ჭაბუკებმა მოიპოვეს. საპატიო ჯილდო გამარჯვებულებს ბ. ჭელიძის მეუღლემ, მერი გეგეჭკორმა გადასცა.

ასპარეზობის საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა გ. ლომაიას („გლდანი“), მცველისა — გ. ფაზლავილს („დილა“), ნახევარმცველისა — ზ. ავალიანს („მამული-78“), თავდამსხმელისა — [illegible]ძეს („მამული-78“). ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ სპეციალისტებმა მიიჩნიეს კ. ხუციშვილი („გლდანი“). სპეციალური პრიზი ყველაზე ლამაზი გატანილი გოლისათვის გადაეცა ირაკლი ჯამასიშვილს („მამული-78“). ორმა მოთამაშემ — დ. ბახტაძემ („ბათუმი“) და გორელმა გ. ხიზანიშვილმა ტურნირზე 10-10 ბურთი გაიტანეს. ისინი დაჯილდოვდნენ საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზებით.

შალვა ჟირია.

ხურათზე: ბორის ჭელიძის ხსოვნის პრიზის მფლობელი თბილისის „გლდანის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი.

გია აბალაძის ფოტო.

„მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშება ჭადრაკში

12 საგზურისათვის

„დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციის“ მიერ ჩატარებულ საკმაოდ მრავალრიცხოვან ღონისძიებათა შორის ყველაზე დიდი პოპულარობა „მსოფლიო თასის“ გათამაშებამ მოიპოვა. 1988-1989 წლებში გამართულმა ამ უდიდესმა ასპარეზობამ წარმატება მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს მოუტანა. თითქმის ერთდროულად დაიწყო მონაწილეთა შერჩევა „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშებისათვის, სადაც პრეტენდენტები სათანადოდ გაიცხრილნენ ბელგრადის, მოსკოვისა და პალმას ტურნირებში. დარჩა კიდევ ერთი ასპარეზობა — ფინალური შესარჩევი ტურნირი, რომლის ჩატარებაც თავდაპირველად ბელგრადში იყო განზრახული. მარტის შუა რიცხვებისათვის იუგოსლავიელებმა განაცხადეს, რომ თავს ვერ გაართმევდნენ ორგანიზაციულ სიძნელეებს. მაშინ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაუკავშირდა სხვადასხვა სპონსორებს და შეჯიბრებაც მოსკოვში გადაიტანეს.

ეს ტურნირი, რომელიც დღეს, 23 მაისს იწყება და 6 ივნისამდე გასტანს, თავისი უძლიერესი შემადგენლობით გამოირჩევა. დაახლოებით 50 დიდოსტატი ერთმანეთს შვეიცარიული სისტემით (11 ტურად) შეეცილება „მსოფლიო თასის“ 12 საგზურს. მათ შორის არის ჩვენი ცნობილი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი,** რომელმაც სულ ახლახან, ავსტრალიის საერთაშორისო ტურნირში, პირველი ადგილი დაიკავა. მას წლეულს სათამაშო პრაქტიკა არ აკლია: გამოდიოდა გრონინგენში, რეიკიავიკში, დორტმუნდში და გამოვთქვამთ იმედს, რომ მოსკოვშიც, თუმცა ეს ასპარეზობა ზემოთ ჩამოთვლილებზე განუზომლად უფრო ძლიერია, კარგი შესაძლებლობები ექნება.

მაინც ვის წინააღმდეგ მოუხდება ბრძოლა ზურაბს მოსკოვში? მონაწილეები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: ერთს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვეს უფლება. მეორენი პერსონალურად მიიწვიეს მაღალი რეიტინგის გამო; მესამე ჯგუფს კი შეადგენენ დიდოსტატები, რომლებიც „მსოფლიო თასის“ პირველ გათამაშებაში მონაწილეობდნენ და მისი დატოვება მოუხდათ. ვფიქრობთ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი რომ ერთნიც, მეორენიც და მესამენიც უაღრესად საშიში მეტოქეები არიან.

იმათ შორის, რომლებმაც თვით ვაიკვლიეს გზა შესარჩევ შეჯიბრებებში, ძირითადად „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები სჭარბობენ. ამ ჯგუფში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მინსკელი ბორის გელფანდი, რომელსაც, მრავალი მიმომხილველის აზრით, კარგი შესაძლებლობები ექნება შეწვდეს მსოფლიო ჩემპიონს (რომელს?!) 1993 წელს. ამასვე უწინასწარმეტყველებენ ლვოველ ვასილ ივანჩუკს, რომელიც მოსკოვის ასპარეზობაში პერსონალურად არის მიწვეული მაღალი რეიტინგის გამო. უნდა აღინიშნოს 15 წლის გატა კამსკიც, ერთ-ერთი უნიჭიერესი ნორჩი საბჭოთა მოჭადრაკე, რომელიც ნიუ-იორკის ტრადიციული ტურნირის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩა. ფრიად კოლორიტული სპორტსმენია ნორვეგიელი სიმენ აგდესტეინი — სკანდინავიის ჩემპიონი ჭადრაკში და ნორვეგიის ნაკრების წევრი... ფეხბურთში!

რა თქმა უნდა, მრისხანე ძალას წარმოადგენს ის 19 დიდოსტატი, რომლებიც „მსოფლიო თასის“ პირველ გათამაშებაში მონაწილეობდნენ და ახლა ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ შორის არიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების მონაწილეები არტურ იუსუპოვი და ჯონათან სპილმენი, განთქმული შვედი დიდოსტატი ულფ ანდერსონი, მსოფლიოს ექსჩემპიონები მიხეილ ტალი და ბორის სპასკი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ოლეგ რომანიშინი, ბელგიელი სალვატორ სანტაროზა, ინგლისელი ჩემპიონი რიფაელ ვაკანიანი, აშშ-ს № 1 მოჭადრაკე იასერ სეირავანი..

ერთი სიტყვით, მოსკოვის ასპარეზობა ერთ-ერთი ცენტრალურია წლევანდელ საჭადრაკო კალენდარში, რომელიც, საერთოდ, საოცრად მდიდარია და ამასთან, უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ასე თუ ისე, უნდა გაირკვეს, ძალთა რა თანაფარდობაა ამჟამად საჭადრაკო ელიტის წარმომადგენელთა შორის. სულ რაღაც ორი კვირის დამთავრებული იქნება მოსკოვის ასპარეზობა, როცა მისი მონაწილეების უდიდეს უმრავლესობას ესპანეთის ქალაქ მურსიაში მოუხდება გადასვლა, სადაც მსოფლიოს პირველობის საზონათშორისო ტურნირი დაიწყება. იგი, ისტორიაში პირველად, შვეიცარიული სისტემით ტარდება.

ბიძი გამრეკელი.

„იტალია -90“

ლატარია „იტალია 90“-ის ბილეთის მფლობელმა ბილეთზე აღნიშნული წესის მიხედვით უნდა შეავსოს „ა“, „ბ“, და „გ“ ნაწილები (იდენტურად).

„ა“ ნაწილს ბილეთის მფლობელი ჭრის გადაჭრის აღმნიშვნელ ხაზზე და იტოვებს შედეგების შესამოწმებლად, გამარჯვების შემთხვევაში კი მოგების მიღების საბუთად. ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 31 მაისი.

ბილეთის „ა“, „ბ“, და „გ“ ნაწილები დაყოფილია 5 თანრიგად.

ლატარია „იტალია-90“-ის მოგების ფონდი შეადგენს ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხის 50 პროცენტს.

თითოეულ თანრიგზე მოგება შეადგენს მოგების ფონდის 10 პროცენტს. მომგებიანი იქნება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილი იქნება ერთი ან რამდენიმე თანრიგი ერთდროულად. თითოეულ თანრიგზე მოგების ოდენობა განისაზღვრება მოცემული თანრიგის მოგების (მოგების ფონდის 10 პროცენტის) შეფარდებით ამ თანრიგის სწორად გამოცნობილი ბილეთების რაოდენობასთან. სპორტპროგნოზის იმ ბილეთებზე, რომლებშიც სწორად იქნება გამოცნობილი რამდენიმე თანრიგი, მოგების ოდენობა განისაზღვრება თითოეულ თანრიგზე მოგებული თანხის შეჯამებით.

ამ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანრიგი არ იქნება სწორად გამოცნობილი არც ერთი ბილეთის მფლობელის მიერ, მიცემული თანრიგის საერთო მოგება გადანაწილდება სხვა თანრიგებზე.

სპორტპროგნოზის გარდა, ბილეთი მონაწილეობს ლატარიის ტირაჟში (ბილეთის სერიისა და ნომრის მიხედვით), რომელიც ჩატარდება 1990 წლის 5 ივნისს ქ. მცხეთაში. ლატარიაში გათამაშებული იქნება მსუბუქი ავტომანქანები, ვიდეომაგნიტოფონები და 60 საგზური საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.

ლატარია „იტალია—90“-ის ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ ქ. თბილისში, რუსთაველის, მშვიდობის, მეგობრობის, წერეთლის, ჭავჭავაძის გამზირებზე; ლენინის, გმირთა, კ. მარქსის მოედნებზე; პავლოვის, საბჭოს, ოქტომბრის, ვაჟა-ფშაველას, მელიქიშვილის, ანაგის, აღმაშენებლის, თამარ მეფის, მაგნიტოგორსკის ქუჩებზე; ტექნიკურ უნივერსიტეტთან მდებარე სპეციალურ ჯიხურში; ქ. ქუთაისში და თელავში მდებარე სპეციალურ ჯიხურებში, ზესტაფონის, ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის, სამტრედიის, ოზურგეთის, სენაკის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, რუსთავის, ხობის, საგარეჯოს, შემახველ ბანკებში და „სოიუზპრჩატის“ ჯიხურებში.

„ბ“ და „გ“ ნაწილების ჩაბარება ხდება ყველგან, სადაც მიმდინარეობს ბილეთების რეალიზაცია.

ბილეთების გაყიდვის, „ბ“ და „გ“ ნაწილების უკან ჩაბარების ბოლო ვადაა 31 მაისი.

იჩქარეთ. შეიძინოთ ლატარია-სპორტპროგნოზი „იტალია—90“-ის ბილეთები!







ფასი 9 მან.

ლატარიის რეალიზაციიდან შემოსული თანხა გადაერიცხება: ინვალიდთა ასოციაციას, ახალგაზრდულ ფონდს "შამელ" და ქართული ახალგაზრდობის სამეურნეო - ეკონომიკური საქველმოქმედო ინიციატივას.

ბარათის შევსების ნიმუში

ჩოგბურთის ამბები

დასავლეთ ბერლინი. ეს იყო წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია. აქ მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა 16 წლის იუგოსლავიელ ჰონიკა სელეშთან შეხვედრაში მოულოდნელი მარცხი განიცადა 4:6, 3:6. იუგოსლავიელმა ჩოგბურთელმა ამ გამარჯვებით დიდი მორალური კმაყოფილება და... 100 ათასი დოლარი პრიზი მიიღო.

ერთი საინტერესო დეტალი: გრაფს თითქმის ერთი წელია მატჩი არ წაუგია (ზედიზედ 66 გამარჯვება), სელეშმა კი მარტო წლევანდელ სეზონში ხუთი ტურნირი მოიგო. თანაც, ამ ცოტა ხნის წინ რომში ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა დამარცხა. იუგოსლავიელ ჩოგბურთელს, რომელსაც ამჟამად მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილი უკავია, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად თვლიან (ეს ტურნირი 28 მაისს დაიწყება).

ორი მოკლე განცხადება ფინალური მატჩის შემდეგ:

სელეში: „მას შემდეგ, რაც წაგაგე ბოლო შეხვედრა გრაფთან შვიდი თვის წინ, უფრო გამოცდილი გავხდი და ისე ძლიერ აღარ შეშინია მისი“.

გრაფი: „ამჯერად არ გამომივიდა თამაში, მონიკა კი შეუდარებელი იყო და უშეცდომოდ მოქმედებდა“.

დიუსელდორფი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მატჩში საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები დამარცხდა გფრ-ის გუნდთან — 0:3. ანდრეი ჩერკასოვმა წააგო ბორის ბეკერთან — 4:6, 3:6, ალექსანდრე ვოლკოვმა — კარლ-უვე შტეებთან — 5:7, 5:7, მიჰაელ შტიჰისა და ერიკ იელენის წყვილმა კი ანდრეი ჩერკასოვისა და ვლადიმერ გაბრიჩიძის დუეტს აჯობა — 6:4, 6:7, 6:2.



„სპორტპროგნოზი“

მე-20 ტირაჟის შედეგები
(19 მაისი)

1—2, 2—2, 3—1, 4—1, 5—X, 6—1, 7—2, 8—X, 9—X, 10—X, 11—1, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, ს. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-29, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ს. კოსტავას ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779